

# ნაბეჭედი

საქართველოს  
საბავშვო ჟურნალი

140  
2004

№6

68



# საქართველოს საპატრიარქოს 100 წლის იუბილეს მიერ



# ნაკადული

საყმაწვილო აქტნალი  
2004 წ. №6



ჩვენი ჟურნალი 1904 წელს სასიქსეჯელო მამულიშვილო მესტეფრობით ჯარსიუბელი ზირევი ქართული საყმაწვილო ჟურნალის ნაფუძირზე ამოზრდადი. მოგვიანებით მის სახელი შეეცვლეა ჯო „ზიონერი“ ეწოდა, 1990 წელიდან კო იგი კვლავ თვისი ზირევიშვილი სახელით გამოდის.

## ნომრის შინაარსი

საინფორმაციო სააგენტო „ვაქტი“ -----	2
საუპუნის ტოლი იუბილარი სკოლა -----	3
„ოლოშხერი“ -----	6,22
გონარი ჭივივილი – მსტატი (მოთხრობა) -----	7
თამარ ცანავა (მართი თქვეზანი) -----	9
ჩვენ შემხვანოს მნას ვსჯავლობთ -----	10
როგორ და რატომ ვიზრდებით? -----	12
მსოფლიო კიდით კიდევად -----	14
ირმა გულანძიმ – თეთრი ბელი და ფერადი ყინულოვანი ოკვანე (ზღაპარი) -	15
უნდა გაგოცოთ! -----	19
ვის როგორი მნა აქვს – (ბუნებოს კარი) -----	23
ვიქტორინა „ჭკუნის კოლოშხვისთვის“ -----	26
ტმსტი -----	30
სიცილის გაკვეთილი -----	31
პროსპორლი -----	32

რედაქტორი  
მანანა გულაშვილი

მისამართი: 380008, თბილისი, კოსტავას ქ.14  
ტელეფონები: 93-31-81; 93-18-84.  
ინდექსი: 76157  
ფასი 1 ლარი  
რეგისტრირებულია მთაწმინდის სასამართლო ში



**„ნაქაღვლის“  
საინჟინერო-სააგენსო  
„შაქატი“**



**ალექსანდრე მეტრეველის  
თასი მეათედ გათამაშდა**

წელს მეათედ გათამაშდა სახელოვანი ქართველი ჩოგბურთელის ალექსანდრე მეტრეველის თასი. შეჯიბრებაში 110 ნორჩი სპორტსმენი მონაწილეობდა. თასის მფლობელი დინამოელი გიორგი ჭანტუაია გახდა, რომელსაც თასთან ერთად, პრიზი – ფერადი ტელევიზორი თავად ალექსანდრე მეტრეველმა გადასცა. გოგონებს შორის სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში გაიმარჯვეს გვანცა რობაქიძემ, ნანა ოსიპოვამ, თაკო თოდუამ, ნინო ლაგვილაძემ. ბიჭებში კი ყველას ლუკა ფილფანმა, ზვიად ზაალიშვილმა და ალექსანდრე მეტრეველის 11 წლის შვილიშვილმა, სანდრომ აჯობეს.

ულო მნახველები – კასპის ბავშვთა ფსიქო-ნევროლოგიური პანსიონატის მობინადრეები ეწვივნენ. ბავშვებმა ინტერესით დაათვალიერეს მხატვრის ნამუშევრების გამოფენა, მერე კი სახელდახელოდ მოწვობილ სუფრასთანაც დანაყრდნენ. ქალბატონმა ზაირამ და მისმა მეგობარ-ნაცნობებმა თავს იდეს ამ პატარებზე ზრუნვა. შემოწირული თანხით შექმნილი ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ტკბილეული და სათამაშოები ზაირა სვიმონიშვილმა თვითონ ჩაიტანა კასპში.

**ოლიმპიური ჩემპიონი  
მიუსაფარ ბავშვებზე  
ზრუნავს**

კოჯრის ბავშვთა სახლში ერთი წელია მოქმედებს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონის, მზია ჯუღელის სახელობის კლუბი. ამას წინათ სახელოვანი სპორტსმენი თანამოაზრეებთან ერთად ეწვია კოჯრულ ბავშვებს და საჩუქრად ჩაუტანა თბილშარულები და ფეხსაცმელები.

**კასპელი ბავშვები  
მხატვრის სახელოსნოში**

თბილისში ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე მხატვარ ზაირა სვიმონიშვილის სახელოსნოს ამას წინათ უჩვე-



# საუჩუნის ბოლი იუბილარი სკოლა

სვერი ერთ-ერთი უღამაზესი სოფელია ზემო იმერეთში, ჭიათურის რაიონში. გონიერებითა და შრომი-სმოყვარეობით განთქმულ სვერელებს ყოველთვის აქტიური წვლილი შეუჭინდათ ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

ბევრი მათგანი ცხოვრების დიდ გზაზე იმ ბილიკით გავიდა, რომელიც სვერის საშუალო სკოლაში და-ნიყო. აქაური მასწავლებლების მიერ საგზაოდ გატანული ცოდნა, სიყვარული და სიყუთე ნაიმძღვარეს წინ ამ გზაზე სასიარულოდ სკოლის დამთავრების შემდეგ სვერისა და მის სათემოში შემავალი სოფლების – თვალუეთისა და ცხრუკეთის ახალგაზრდებს.

ახლახან სვერის საშუალო სკოლას 100 წელი შეუსრულდა, ჩვენმა საზოგადოებამ ფართოდ აღნიშნა სა-ხელოვანი სასწავლო დაწესებულების საუკუნოვანი იუბილე. ამ თარიღთან დაკავშირებულ ზეიშმე მნიშვეულ სტუმართა შორის იყო საქართველოს პრეზიდენტი ბატონი მიხეილ სააკაშვილიც, რომელმაც სვერის სათე-მოში შემავალ სოფელ ცხრუკეთში გაატარა ბავშვობა, ამავე სოფლის რბალი გახლავთ პარლამენტის თე-მეჯდომარე ქალბატონი ნინო ბურჯანაძე, ცხრუკეთელია თავად სვერის საშუალო სკოლის დირექტორი, დავანთოსელი პედაგოგი, ბატონი რეზო ბინაძე, ბატონი რეზო 42 წელია ხელმძღვანელობს სკოლას, რომ-ლის ურესდამთავრებულები გახლავთ თავდაცვ. გორის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის წა-რჩინებით დამთავრების შემდეგ რეზო ბინაძე სოფელ ალავერდის სკოლის დირექტორად დაინიშნა. მომდევ-ნო წლებში მუშაობდა ზედა უსახელის რვანლიანი სკოლის, მერე შობთიერის ცხრუკეთის რვანლიანი სკოლის დირექტორად. 1962 წელს იგი სოფელ სვერის საშუალო სკოლის დირექტორად გადაიყვანეს. ერისხანს ჭიათურის რაიონის გამგებობის თავმჯდომარის მოადგილედ, ჭიათურის პირველ ვიცე-მერედ იმე-შავა, ხოლო 1996 წელს ყველა პედაგოგიურ მოღვაწეობას დაუბრუნდა და სვერის სკოლას ჩაუტავა სათავეში. მკაცრ მუღელე, სამი ვაჟიყვანი და ოთხი შვილიყვანი. დაჯილდოებულია ღირსების ორდენით.

გასული საუკუნეების მიჯნაზე ჩვენს ქვეყანაში განათლების გა-ერცელებასა და სკოლების გახსნაზე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება ზრ-უნავდა. სწორედ ამ საზოგადოების არსებობიდან 25 წლისთავე, 1904 წელს სვერის პროგრესულად მო-აზრონე ახალგაზრდობის ინიცი-ატებით სოფელში ერთლსიანი სა-სწავლებელი დაარსებულა, რაც სოფლის ცხოვრებაში უდიდესი მო-ვლენა იყო, რადან მეფის რუსეთის რეაქციული „საგანმანათლებლო“ პოლიტიკის გამო მრავალსაუკუნო-ვანი გვირუკის ისტორიის მქონე სოფლის მთელი მოსახლეობა იმ დროისათვის წერა-კითხვის უცოდ-ინარი ყოფილა.

რადგან ამ პერიოდში სასკოლო შენობაზე ფიქრიც კი შე-უძლებელი იყო, ერთწლი-ანი სასწავლებელი სასუ-ლიერო პირის, დიაკენ ნეო ცუციერიძის სახლში განთავდა, მოკვიანებით გახსნილი 3 წლიანი სკოლა 1912 წლიდან ექიმ აბესალომ წერეთლის სა-ხლში ფუნქციონირებდა. 1918 წლიდან სკოლამ 4-ოთახიან ხის შენობაში გა-დმოინაცვლა და სამუდამ-ოდ დამკვიდრდა სოფლის შუაგულში, ლადეო წერე-




თლის ეზო-მიდამოში. 1930-31 წლებში სვერის თემის თავმჯდომარ-ის, აწ განსვენებული გრიგოლ ბიქაძის ინიციატივითა და სოფლის მოსახლეობის აქტიური შრომითი მონაწილეობით აიგო დაწყებითი სკოლის 4-ოთახიანი კაპიტალური შენობა, რომელიც 1935 წელს არა-სრულ საშუალო სკოლად გადაყე-თდა, ხოლო 1937 წელს სრულ სა-შუალო სკოლად.

სკოლაში სხვადასხვა დროს მო-ღვაწე ეროვნული სულისკვეთებით გამსჭვალული ადამიანები ცოდნასა და ენერგიას არ იშურებდნენ ახა-ლგაზრდობის სწავლა-განათლები-სათვის. დიდი ღვაწლი მიუძღვით ამ საქმეში მრავალი სასიქადლო ადამიანის შრობიური სოფლის, ცხრუკეთის მკვიდრს, იუბილარი



სკოლის პირველ მასწა-ვლებლს ილია წერე-თელს, რომელიც შირა-ნის მზრის სხვა სკოლა-შიც მოღვაწეობდა და მა-ზრის ერთ-ერთი მოწინავე მასწავლებელი ყოფილა, აგრეთვე ბიოლოგიის მე-ცნიერებათა კანდიდატს მხეილ წერეთელს, ალე-ქსანდრე და ერეკლა ჩინჩა-ლაძეებს, გრიგოლ ტატი-შელს, ანგია ვაოშვილს, თეოდ ლაბაძეს და სხვა მრავალს.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა



დღიან საშუალო სკოლის გახსნისა, მას ყოველ წელს ათი ათასობით საშუალო 35 მოსწავლეს. სულ კი სკოლის სრული კურსი დამთავრებული აქვს 2438 მოსწავლეს, აქედან უმაღლესი განათლება მიიღო 995-მა.

სკოლის კურსდამთავრებულთაგან ბევრის სიცოცხლე შეიწირა მეორე მსოფლიო ომმა და საქართველოს მთლიანობისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებმა. ამ სკოლაში სწავლობდა ყოფილი საბჭოთა კავშირის გმირი, მოსკოვის სამხედრო აკადემიის კურსდამთავრებული მაიორი კონსტანტინე ცუცქერიძე, რომელიც ფაშისტების წინააღმდეგ გამორულ ბრძოლაში დაეცა ბერლინის მისაღებქმეთან 1945 წლის 19 აპრელს.

სვერის საშუალო სკოლის დირექტორად რომ დაეინიშნე, მე უკვე მქონდა სკოლის ხელმძღვანელად მუშაობის სეკმაო გამოცდილება, ვიყავი სოფელ კალაურის სკოლის, ზედა უსახელოს რეაწლიანი სკოლის, ჩემი მშობლიური სკოლის, ცხრუკეთის რეაწლიანი სკოლის დირექტორი და ამდენად მუშაობის აწყობა არ გამჭირვებია. პირველ რიგში ჰედაგოგური კოლექტივის აქტიური მხარდაჭერით სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაჯაროობაზე დავეყნეთ ზრუნვა. გადაწყდა სკოლის ოთხთახიან კაპიტალურ შენობაზე მიშენება-დაშენება, მაგრამ რადგან ეწოს რელიეფი არ იძლეოდა ამის საშუალებას, საჭირო გახდა ქვისა და ხის შენობებს შორის ადმართული 3 მეტრი სიმაღლის ბორცვის მოჭრა-მოსწორება. მას შემდეგ რაც მოიჭრა 3 000 კუბურ მეტრზე მეტი, მშენებლობაც დაიწყო. 1965-66 წლებში პარტიის ჭიანჭურის საქალაქო კომიტეტის მდიანის, პატიოსანი და ვაჟკაცი კაცის, აწ გარდაცვლილი ბატონ ზურაბ პატრიძის დიდი დახმარებით განხორციელდა მიშენება-დაშენების სამუშაოები, რის შედეგადაც სკოლამ მიიღო 11 საკლასო ოთახი. მაგრამ იმის გამო, რომ 70-იანი წლების დასაწყისში სწრაფად გაიზარდა მოსწავლეთა კონტინგენტი (20 საფანისის კლასი 600-ზე მეტი მოსწავლით), ახალი სასკოლო შენობის აგების აუ-

ცილებლობის წინაშე დაედგეთ. ამ საქმეში დიდი მხარდაჭერა და დახმარება გაეცინა ცკ-ს მაშინდელმა მდიანმა, ჩვენმა დიდმა მეგობარმა, აწ გარდაცვლილმა ვიგი ანდრონიკა-შვილმა. ჩვენი სკოლა დღესაც 1982-83 წლებში აგებულ იმ შენობაშია განთავსებული. დღეისათვის გვაქვს 20 სასწავლო საგნობრივი კლას-კაბინეტი 480 მოსწავლისათვის: ესთეტიკისა და მუსიკის, სახეითი ხელოვნების, შრომისა და ხელგარჯილობის კაბინეტები, კომპინირებული სასწავლო მასალინსო, ავტოსაქმის სწავლების ორი კაბინეტი, სასკოლო მუხეუმი, სპორტული დარბაზი, დიდა სპორტული მოედანი, გვერნდა ლინგუისტიკის კაბინეტი უცხო ენის სწა-

თვითღნებით შემოვიყვანეთ. წყლის სკოლაში. სკოლის ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან, 21 წელია, კაპიტალური რემონტის გარეშე ვინახავთ შენობას. 12 წელია სახელმწიფოსაგან სამუერნეო დანახელებისათვის 10 თეთრიც არ მიგვიღია, ხოლო მშობლებისაგან ნებაყოფლობით შემიწარწირა - 50 თეთრი მხოლოდ ცოცხისა და ტილოს შექმნისთვის კმარა.

გვეამაყება, რომ სკოლის კურსდამთავრებულნი მოღაწეობდნენ და მოღაწეობენ ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში. ბერმა მაიანმა თავი გამოიჩინა მეცნიერების, კულტურისა და სახალხო განათლების განვითარების საქმეში.



ვლებისათვის, კიბერნეტიკის კაბინეტი, რადიოყვანში და მრავალი ხანის ტექნიკური საშუალებები, რომლებსაც ამ ბოლო წლებში ელექტროენერჯის მომარაგებისთან დაკავშირებული პრობლემების გამო ვერ ვიყენებთ. საერთო ძალებით შევედგეთ სკოლის ეწოს და გარე მიდამოს კეთილმოწყობა-გალამაზებას, გაააშენეთ 300 ძირი ნივჭის ხე, რამდენიმე ათეული და ასეული იფინის, ცაცხეისა და აკაციის ხე. გარდა იმისა, რომ ამ ნარგავებმა გაალამაზა აქაურობა, ისინი ძლიერი ქარისა და სტიქიისაგან იცავს სკოლის ეწო-მიდამოსაც და შენობასაც.

სკოლის მოსწავლეები ყოველთვის აქტიურად მონაწილეობდნენ და მონაწილეობენ შრომით საქმიანობაში. სასკოლო მიწის ნაკვეთის შემოსვლით სკოლისთვის შევიძინეთ 2 პიანინო და სატყეოთი ავტომანქანა, (ისე რომ, სახელმწიფოს ბიუჯეტიდან ერთ კამაიც არ დასარჯული),

ასეთი პიროვნება ძალზე ბერია: დემურ ბიწაძე - ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, ვალდია წერეთელი - თბილისის საოლეო სასამართლოს მოსამართლე, ოლეგ გვეგელსანი - ცნობილი პოეტი და ჟურნალისტი, მურად ბიწაძე, ზოია ბიწაძე, დემურ ბიწაძე, სხვები და სხვები. ბერი ჩვენი კურსდამთავრებული გამოჩენილი მშენებელი, ავტოინჟინერი და პედაგოგია. საერთოდ სვერის საერებულოში შემაგალი სოფლები ცხრუკეთი და თვალეთი ცნობილი გამოჩენილი ადამიანებით, გვეყავს 25 მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, აკადემიკოსი, მთელ საქართველოში ცნობილი გიორგი წერეთლის, ალექსანდრე წერეთლის, მიხაკ წერეთლის, თინათინ წერეთლის, ნიკოლოზ წერეთლის, შალვა ბიწაძის, ანდრია ბიწაძის, ზინადა ბიწაძის, გიორგი ბიწაძის, დავით ტატიშვილის და მრავალი სხვა დასეთადლო მამულმშვიდის სახელები. ცხრუკეთში გაატარა ბავშვობა საქართველოს ამჟამინდელმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა.

მეც და სვერის სკოლის მიულ ბე დკოლექტივის ძალიან გვაყვარებს ქვეყნის განათლების სისტემაში მემდინარე რეფორმა. ხედავთ მის პირველ დაღებთ შედეგებს და მიუხედავად ამთ, პირველ რიგში კი დაწყბითი, საბასო და საშუალო განათლების სერთიფიკატების გაცემაში

ახალ წესს, სასკოლო სახელმძღვანელოების გამოცემა-შერჩევის ახალ პოლიტიკას, საპარლამენტო კომიტეტის ინიციატივას წიგნის კანონის შესახებ. ასევე მისაღწეობელია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ ჩამოყალიბებული ზოგადი განათლების ეროვნული მიზნები, რომელიც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ანალიტიკური და ჩვეუითი ცოდნის ჩამოყალიბებას, სწავლისა და სწავლების ძირითადი პრინციპების გაუმჯობესებას, განსაღი გარემოს შექმნასა და მის სრულ გამოყენებას განათლებული და დამოუკიდებლად მოაზროვნე მოზარდის აღზრდისათვის, რაც საღდეისოდ მთავარია.

პიროვნების ნიჭისა და უნარის მაქსიმალურად გამოვლენა და განვითარება, თავისუფლად მოაზროვნე და ცხოვრებისათვის მომზადებული თაობის აღზრდა მოითხოვს მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული ცოდნა და გამოცდილება. თუმცა აქვე ისიც აღსანიშნავია, რომ შეიძლება პიროვნებას საგნის მეცნიერული ცოდნა ჰქონდეს, მაგრამ საკლასო ოთახში მოსწავლეებთან არ გამოდგეს, ხოლო ლაბორატორიაში წარმატებული მეცნიერული მიღწევები ჰქონდეს. ამის მაგალითები ძალიან ბევრია. ამიტომ ვფიქრობ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სკოლებში ქართულელთა ფსიქო-ფსიქოლოგიისა და

მენტალიტეტის შესაბამისი მეთოდურ-მეღადგოვიერი ხერხების დამკვიდრებასა და განვითარებას. დაუშვებლად მიგვაჩნია ასკობრთვი სეგრეგაცია, რასაც შეიძლება საეღდებულო და გამოუსწორებელი შეღდევი მოკვეყს ქვეყნის ინტელექტუალურ და საზოგადოებრივ ცხოვრებაში. სკოლის მეღადგოვის თუ ხელმძღვანელის მუშაობა უნდა განისაზღვრებოდეს მისი ქმედითუნარიანობით, პროფესიონალზმობითა და პატიოსნებით და არა ასაკით.

ჩვენი აზრით, არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, დირექტორი დაინიშნება თუ აირჩევა, სასკოლო ცხოვრების მრავალფეროვნების და სირთულის, მასწავლებლის, მოსწავლისა და შშობლის ფსიქოლოგიისა და მენტალიტეტის გათვალისწინებით, აუცილებლად მიგვაჩნია, სკოლის დირექტორის მუშაობის დროის ხანგრძლივობა განისაზღვროს ძოღიანი ზოგადი განათლების ვადით მაინც.

სკოლა ურთულესი და მრავალმხრავი საქმიანობის ობიექტია. სკოლის დირექტორმა უნდა იცოდეს ეკონომიკაც, ფსიქოლოგიაც, ადამიანური ურთიერთობებიც, ცალკეულ სასწავლო დისციპლინების სწავლების მეთოდიაც, ფიციაც და ესთეტიკაც, სამართლიც, ქვეყნისა და გარემოს ბუნებრივი და სოციღლური პირობებიც. მას აუცილებლად უნდა ჰქონდეს ორგანიზატორული ნიჭი,

მოსწავლე-ახლგამზრდობისა და მეღადგოების სულთერ სამყაროში წვლომის უნარი, დირექტორი უნდა იყოს სამართლიანი, ობიექტური და პატიოსანი, შრომისმოყვარე, მომთხოვნე პირველ რიგში თავის თავისადმი, სამაგალითი და მისაბაპი პიროვნება და არა მარტო თავისი პიროვნებით, არამედ საკუთარი ოჯახით, იმ გარემოცობა და ადამიანებთან ურთიერთობით, რომელშიც იგი ცხოვრობს. მითუმეტეს, როგორც ზოგადი განათლების ერთეულ მინზებშია მითითებული, მოზარდის სრულყოფილი აღზრდა ხომ სასკოლო გარემოში პირი სკოლის დირექტორი უნდა იყოს, ამიტომ საჭიროა დირექტორის კანდიღატურა ყველა ამ მონაცემის მიხედვით ირჩეოდეს, რადგან ყოველღეე აღნიშნულს ტესტური გამოცდით ვერ შეიამწმება.

წარმატებული მუშაობა, დაისრებული საქმისადმი სიყვარული, პატიოსნება, სიტყვისა და საქმის ერთიანობა ყველა განათლებული კაცის მანასიათბეღი უნდა იყოს. მაგრამ სამისოდ ცოდნასთან ერთად გამოცდილება საჭირო, რაც ყველამეტე ტად სკოლის დირექტორს სჭირდება, რადგან სკოლის დირექტორმა ხელოვნება.

**რამო ბიწაამ**  
სვერის საშუღლო  
სკოლის დირექტორი



საემინღილი კოჩინღლი

### ეთერ მეტრეველი



„მე ეთერ მეტრეველი ვარ, თოხმებე წლის სე-  
ვდიანი გოგონა, რომელსაც ძალიან უყვარს მზე-  
მთვარე, ვარსკვლავები, ქარი, თოვლი, წვიმა... ის  
მშვენიერება, რითაც უფალმა გულუხვად დაგვა-  
საჩუქრა აღამიანები და რასაც, სამწუბაროდ, ძა-  
ლიან ხშირად ვერ ვამჩნევთ.“

მივევარს ოცნება, მინდა სამყარო უფრო კარგი,  
უფრო კეთილი იყოს, მინდა სივფარული დაფრინა-  
ვებს მთელ პლანეტაზე და ბუნდინერებით გაბრწყინ-  
ებულ თვალებს ვხედავდე ირგვლივ.

მინდა აღამიანები უფრო ვურადღებინანი  
იყვნენ ერთმანეთის მიმართ. დროულად ნათქვამი  
კეთილი სიტყვა ხომ ვეწლა ხასწაულზე დიდი ხა-  
სწაულია ამქვეყნად...

ერთი სიტყვით, ძალიან ბევრი სურვილი და  
ოცნება მაქვს, მაგრამ მე ჯერ მხოლოდ 14 წლისა

ვარ და ვეწლავ მეტი, რაც შემიძლია, ამ სურვილებიხა და ოცნებების ლექსად გამოთქმაა.

ლექსი ჩემი სუნთქვაა...“

ახე გვაცნობს თავს ქ. ონის საშუალო სკოლის IX კლასის მოსწავლე ეთერ მეტრეველი.

\* \* \*

\* \* \*

დღეს მონარების  
ქარიძსაღმა აძიოილია,  
დღეს დაეწივასე  
შემოდვომის  
ჯერსეცილ ფოთოლს,  
ველარსოდეს ვეღარ უნასე,  
ახე მონია  
სულ ძალე მოთოეს...  
დღეს ვილაც მოდის და  
მოირიდან მეღაცეცება,  
ბუნდინერების სღვას მპირდება  
ოქროს თასებით,  
ღალა-ფორუნისაუნს აუციებო  
ტახტს -  
უძვირფასეს ათინათებით.  
მე კი ვიოუნეს შემოდვომის  
მცხუხვარე  
ქარეს,  
უძახობით რომ სულის  
მიწვავენ  
და მიდღალვენ  
და ნაცარს ვაური ოქროს  
თასებს  
და ძირფას ტახტებს.  
არ შემძლია მე მათი მქმდღეს.  
მე უძებობის ქარიძსაღმა  
აძიოილია,  
მე დაეწივასე შემოდვომის  
ჯერსეცილ ფოთოლს,  
დაეწივასე უსასრულოდ -  
ახე მონია  
მეოე რაა, რომ სულ ძალე  
მოთოეს.

უქმოდ მიდის ენათებულ  
სენსზე სექტაკლი.  
დაეცივანე კარეა ხანია...  
და ჩემს როლს მთელი  
გატაცებით თამაშობს  
ვილაც.  
ვერ ვომსობს სიეღლებს,  
და უქმერსელობს  
არ რეც რეცეუნია,  
ეულინიეიდან ვეწერებ და  
თუთიხუნე მიევირს ჩემი  
სიმშვიდე...  
მე ახლა უნდა ვბრანდებოდე,  
როოორე წესია,  
და ამის ნაცვლად  
მეუფეღება ღრმა სინანული,  
მე მებრალეება, უბედური  
მსახიობი,  
და რეეისორიც...  
ვიცი, ჰრომიერას წარმატება  
არ უქწრია...

\* \* \*

ნაცრისფერ ბილიებს მოეწეება  
ფრმქრთალი ღამე,  
მპრტოეღება დღისით შენი  
სავალი ჭეჭი,  
ვილაც ამბობს, რომ

ველარსოდეს ეისილავ  
მისულის -  
არ ვიეწრებ და ვიოტად  
ეული...  
ღია სარეშელთან მილოდინმა  
დაიდო ბინა,  
ღია სარეშელიდან მოიბარება  
უწხო სიცივე  
და ეცრეუბულ მილოდინის  
გადსაფარად  
მწუხრის წარებად ჩამორეკავს  
ჩემი სიცილი...  
ბრმა ერთუღლებას  
მანდილივით მოვისევე თავსე,  
დაეწივადეტი შემოდვომის  
გატრეცილ ფოთოლს.  
ეეება ვეწლე მძიმე ნაბიჯით  
გადამიბრო,  
სანამ ახალი ვათოეება  
თეთრად ჩამოთოეს.  
... და ნაცრისფერი ბილიეებით  
შემოვა ღამე,  
ენმანრტოეღება დღისით შენი  
სავალი ჭეჭი.  
და თოვლის თეთრი სუღარის  
ქვეშ მიწას გართმეული  
ახე ერთუღლად ველარსოდეს  
დაეწივადეტი...

\* \* \*

მე ეელოდებთ და მილოდინი  
აღსასე არის შიძით და სეედიით,  
თოვლი შემოჭევა უევე ბილიეებს;  
მინდა თქვენ იოთი ახლა ჩემ  
ვეწრდით.  
მე ეელოდებთ ეოუცინარი,  
უმწეო დღეებს ვაღამე  
თორთოვლით,  
თქვენ დაბრუნდებით და თან  
მოეეეება  
სეედიანი მწე და თეთრი თოვლი.  
მე ეულით, ეულით, დღეს  
მილოდინი  
აიოილია შიძმა და სეედამ,  
ვილაც მიწამღვას სიცოცხლეს  
ფიქრით  
რომ ვერასოდეს ვიქნებით ერთად.

# ესტატე



## ბონერი ჭიჭვილი

### მხატვარი აკაკი თევზაძე

– წიგნს მოვიდე ხელი, თვარა ერმალონის ბიჭითი ილაყუნებ აღმა-ღალმა, – მიჩინებდა ესტატე ბაბუა დღენიდაგ. მის წყინებებს თავით მარილის ნავეა შერჩივნა. გამოვიტანდი ჭიჭვიას ნაქონ წიგნს, ჩამოვკადებოდი ნივგნის ჩეროში, ძველი ბუხრისთავის ქვაზე და ისე ხმამაღლა ვკითხულობდი, გადმეოლი თანატოლები რიტაყუნელას თამაშის დროს, წაუკითხავად სწავლობდნენ სახვალთ გაცეითელს. სკოლიდან მინც ისეთი ნიშნებით ვბრუნდებოდი, სხვადასხვა მიზნით მტერ-მოყვარეს რომ ვერ გაუმხელს კაცი, სულ წკიაზე ვკიდა ჩემი კლასიდან კლასში გადაყვანა. მეშვიდე კლასამდე ვაჯახიბობდი მასწავლებლებს, ბაბუს და საკუთარ თავს. მეშვიდეში ბოლო გამოცდა ვერ ჩაებადი... სახლში დაფურული დაგბრუნდი.

– გაგიწყნრა გამჩენი, ხომ?! – შემომიბირნა ბაბუამ, ახლად გამოკერილი თოხი ხელუკულმა ისროლა და მარცხენათი, რომელიც პარკირის მარჯვენას ვჯობს, თქვენგან მოწონებული ალაყური მცეცხლა. უკუღმა დატრიალდა ბაბუსეული ენო-გარემო და ვანიყას მინდორში რომ მწარე ბალს ვხეთქე თავი, უკან მამინდა მოვიხედე, რა მომბრუნებდა-მეთქი.

– ფეხი არ მოიცვალი, მაქ მომიცადე. – მომამანა ესტატე ბაბუამ. საღლა წაედიდი. ხის ძირში

ჩამოვკექი გულზე გასიებული და თვალთ მივაღვენი – შვე როგორ ისარხებოდა საწიქმრად შემზადებულ ღრუბლებში. ვინატრე წვიმა, კოყისპირული, ამას წინათ რომ იყო, ისეთი წვიმა. მაგრამ მზემ ისევე მალე შამოიფლითა საავდრო სამოსელი და კვლავ გამოიჩინრა ვანიყას კობოტებში. თავი ჩაეხარე. ახლა ჭინაჭყელებს დავაკვირდი, ჩემს ფეხებთან, მიწაზე ცოცხალი ხაზი რომ გაეგბათ და საქმინად დაუქუქუცებდნენ. მალე ისევე ჩამოიქუფრა. ავიხედე. ახლა ესტატე ფვარებოდა მზეს. ორ თოხზე ჩამოყრდობილი მომჩერებოდა. გამომიწოდა ერთი თოხი და უქმეზად მითხრა:

– მოვიდე ხელი ამას, მეტი მაინც არაფერი გამოვა შენგან. – წინ გამძღვა ნავგვიანვე ყანისცენა. – საღამომდე ორ სერულს გაიტანდი, – უკანმოხუხდავად მესროლა, და მის ხმაში ძველებურად თხოვნა კი არა, ბრძანება ისმოდა. „უარესი მეკუთნის“. – ეფიქრობდი გულჩაწვეტილი და ბალახმოძალებულ მიწას დაბოლილი ეწორენიდი. რადანცინიდა ესტატეც აჯოჯოხებებდა თავის ხასიათს. არაიალვებულს ფიქრებს ისე მიეუხედი, თითქოს ხმამაღლა ეთქვას: „რავა დაეაჩასოვრე ხელი ამხლა ბიჭს; სხვა დროს მეტი ეკუთვნოდა, ვერ გაიმიტე; ახლა რა ვანდაბა მეტაკო; მერე რაფყრი დიდგულაა.

# მოთხრობა

ნახე, რამდენ ხანს იქნეს ჩემზე გულმოსული; სულ მამამისის ხასიათი აქვს ამ ერიოსთავს“.

ერთი სერული ისე გავიტანეთ, ხმა არ გავგილია. დროდადრო ქურდულად გავაპარებდით ერთმანეთისაკენ მზერას.

ყანის თავში ჩამოვდა ესტატე. თუთუსს მოუკიდა.

– დაჯექი, ბაბუა, მუხლი მოაატყვე. – მითხრა თოხის ტარზე ჩამოსვეწებულს და მეკუნიებით გაეღიმა. მისი ღიმილი წელანდელ მზეს ჰგავდა, ღრუბლებიდან რომ ძლივს დაადღწია თავი. მერე მზერა მომპარდა. ყინული გამანდარიყო. გული ამიჭყვდა. ცრემლი მომეკიდა. მარტო რომ ვყოფილიყავი, ვიპირებდი ალბათ. მინდოდა მივეარდნილიყავი და ჩავეყვიდი, მაგრამ ეს რომ გამეკეთებნა, ვუღარ შეეცავებდი შვინიდან მომსყდარ ნადევლს, მხოლოდ ტირილით რომ მოიფივნებს კაცი. ისდა მოეახერხე, გვერდით მიუვკექი და მიწას ჩავაშტერდი. არ მინდოდა ჩემი ცრემლით დაბინდული თვალები ენახა. მოხუცმა იმ ხელთი, რომლის კვალი თბდა ვერაც მანდა სახეზე, აღმა ჩამომფარცხა. ამას კი ვეღარ გავუძელი და სასწაული შეკავებულმა ცრემლებმა თავისი გზა ენახა. სახე მუხლებში ჩავმაღლე. ესტატემ მაღროუა, სანამ გულს მოვიოხებდი.

– ყური მათოხობა – ისე დაიწყო, ჩემგან არ გამოუხედავს, – შენ ვერ ბავუე ხარ, თავსავარი ოქრო გაქვს ხელში. ეს ოქრო – დროა! ოქრის ჭკუით უნდა მოხმარა, თუ არა, ისე შემოგფეცქვენება, უკან მოხედვას ვერ მოასწრებ. არ მინდა, ცხოვრებამ დაგჯახნოს. შენთვის ვამბობ და ქვეყნისთვის, ბაბუა, თორემ ჩემთვის კია ხანია, შემზადილი უნდა ჰქონდეს კაცს თოხი ფიცარი. არც ის ვარგა, მიუწვლიმელს შეეპირინო, მითვარია ადამიანი იყო, იცოვდ სიტყვისა და საქმის ფასი. ისე, რასაც ვაკეთებ, კარგად გააკეთე



და ეგაა. ღმერთმა აცხოვროს ბაბუა ჩემი ქველი. კაცს თუ სიტყვას ეტყოდა, მოვედებოდა, მაგრამ შეასრულებდა. ის რომ ჩოხას შეკერადა, იჲ!.. ახლა მამაჩემს არ იყითხა?! მასეთი მჭვედელი სად იყო! რობაქოს დაძლიან წაღდს თუ ნაჯახს, ცელს თუ ნამაგას ხელიდან სტაცებდნენ ერთმანეთს ჩხარის ბაზარზე, აბა!

არაფერი მიპასუხნია. წამოვდექი, ბროწეულის საქარში შედგმული თუნგულა გამოვიღე, - დალიე-მეთქი, - გავუწოდე. ჯერ შენ გეკუთვნისო, მანიშნა. მოესვი, მერე ცოტა მიწაზე გადავდარე, როგორც ბაბუამ იცოდა. მიხუცმაც მიოვლა წყურვილი. დოქს ლედვის ნემსო დაახურა და კვლავ საქარში შედგა.

თონხა ისევ უხმოდ გავაგრძელოთ.

„საოცარი კაცია ესტატე ბაბუა, - ვფიქრობდი ჩემთვის. - ქველი და რობაქი მომაგინა, თავისთავზე არაფერი დასცდენია. არადა, ასეთი ოსტატები სადღა არიანო, - ასე თქვა მუწუმიდან მოსულმა კაცმა. შარშან ბაბუას ნახელავა ქამარ-ხანჯალი და ვერცხლის სასმისი რომ წაიღო. ამ ბოლო ხანს გასივდა კაცი გულზე, ვუღარაფერს აუეთებს. არც ხელი უჯერებს, აღარც

თვალი უკრის ძეველებურად. ხულაში ხშირად შეღის, გადაფერისხავს მტვერს, გაწმენდს ხელსაწყოებს, ცოტა ხნით ჩამოჯდება, იმ სიმღერასაც წაილინებს, მუშაობისას რომ იშველიებდა. უადგილო ადგილას გაუწყვება ხმა. მერე ეშმაკს შეაფურთხებს, სიბერის მომგონს დასწვევლის და გარეთ გამოდის. ამ დროს იმაზე ხნიერი და მოტეხილი გვერდებით, ვინემ სინამდვილემია. მსებრმაიოყრილი და მობუზული ჩამტყრება მიწას, თითქოს რაღაც დაეცნებულის გახსენებას ცდილობს, მერე უცებ მშმაკს გაშლის, წელში გასწორდება და, წლებში ჩამოფერითხაო თითქოს, წინ ისევ თვალმოჭუტული ჩემი ბაბუა, ნამდვილი ესტატე დგას“.

მეორე სერევი რომ ავათავეთ, მზე შინდონის მთაზე ჩამოჰგდარიყო. ცოტა ხანს დაღლილი კაცივით იყურა იქიდან, მერე თვალი ჩაუკრა სოფელს და გაუჩინარდა. წყაროზე ხელ-პირი დაევიანეთ, თუნგულა ახალი წყლით აუავსეთ და სახლისაკენ გაეწიეთ.

საურზე გზაზე ფეხმშველი, ტასოლტანა გოგო მოპოიჯება. ქარს თავის ჭკუაზე აუყოლიებინა მისი გრძელი თმა და მოყლე კაბა. ვერ ვიცანი ასე შინაურულად ჩაცმული უცხო გოგო. მანაც დაიჭირა ჩემი დაფინებული მწერა. თვალი მომარბდა და ღობის გასწვრივ ჩარიგებულ ტირიფებს ნაწყენივით რაღაც წაუბუზღუნა. მერე ისევ მომხედა და კვლავ ტირიფებს ჩააცივდა.


- დამეწე, ბაბუა, პირი და წამოდი. ამ საურზე გზას ძაღვ სამანქანოდ გადააკეთებენ და მაგისთანა ნემს აივლ-ჩაიცილიან?! - შემაფიხიზლა ესტატემ. კი ვიცოდი, გზას ბევრი ამველ-ჩამველი რომ ჰყავს, მაგრამ იმ უცხო გოგოს ევლო, ძალიან მიწნდიდა. წელმოწვევტილი-

ვით გავაგრძელებ გზა. ესტატე ჩემკენ მობრუნებულყო, თონხე ორივე ხელთან ერთად ნიკაპიც ჩამოეყენებია და სახეზე დიმილმეყენული იყურებოდა. ვერ მივხვდი, მე მომწერბოდა თუ ბინდომალბებულ სოფელს ჩასციებოდა. წინ ავესვეტე. ყურადღება არ მოუქცევია, ალბათ მისმა ბებრულმა ბუხსიერებამ წლებმწარებელი, გულის კანჭულში ჩარჩინილი ტკბილი მოგონება ამოატეხტევა და შიგ გაეჩხირა.

- ბაბუა, ვისა თუ იცი, ის გოგო? - კითხვი გაუბედავად.
- აჰ! - უხაროდ შემომხედა მოხუცმა. - ჰოო! ის გოგო? ბაბილინას შვილიშვილია, ლულუკა, წელს არდადეგებს ჩემთან გაატარებსო, ბებიაძისმა.
- აბა!
- მოგეწონა, თუ?
- არა, კაცო, ისე...
- ისე შეიძლება, მარა შენისთანა თონხითარეკებული ბიჭისთვის არ ეცლება მაგას. ბაბილინასაც ბევრი უპრანავადა თვალბს, მისი ხათით მეც წამდაუსუმ ვისწორებდე ქოჩორს.
- მერე?
- მერე ჩემი ქოჩორის სწორებაში დიმიტრიმ სამხედრო სასწავლებელში დაამთავრა, ჩამოვიდა სოფელში აფიცრის ფორმაში გამოწყობილი, სტაცა ხელი ქურციკვით გოგოს და მეორე კვირას ქორცილში მივიპატიეთა. ასეა, - ამოიხენემა ესტატემ. თონხი ყუით და ჭკრა მიწას, დაღამებულაო, თქვა და სახლისკენ წაღასღასდა.

მთელი დამე არ მიძინია. ამოვივდე თავქვემ ხელები და ვფიქრობდი იმ გოგონზე, ლულუკას რომ ემახდნენ, სარეკასავით თვალბი რომ ჰქონდა. შიშველ ფეხსიგულბს რომ აჩვევდა სოფლის შარაგზას...

ცის იმ ნაწილზე, ჩემი ფანჯრიდან რომ მოჩანდა ღრუბლებს შორის, ერთი ვარსკვლავი ყაფარდა, სხვა დროს ყურადღება არ მიმიქცევია, ახლა სულ სხვანაირად უკაშკაშებდა ის დალოცვილი.



# ერტი თქვენგანი

## თამარ სანაპა

ვალში მონაწილეობისთვის, დიპლომი ვეროკაემპირის წარმომადგენლობის მიერ საქართველოში მონაწილე გამოფენაში მონაწილეობისთვის, სახელწოდებით „ჩემი თვალთ დანახული ვეროპა“, გაეროს ლტოლვილითა უმაღლესი კომისარიატის დიპლომი გაეროს ლტოლვილითა მსოფლიო დღესთან დაკავშირებით გამართულ გამოფენაში „როგორ წარმოვიდგენათ იყოთ ლტოლვილი“ მონაწილეობისთვის, დიპლომი არქიტექტურის დღისადმი მიძღვნილ გამოფენაში მონაწილეობისთვის...

- თამარ თოჯინებმა როდის გაგიცნეს?

- 3 წლიდან ვხატავ, ჯერ პასხით ვხატავდი, შემდეგ გუაშით. თოჯინებს რაც შეეხება, თავისუფალ დროს, არდადეგების პერიოდში ვქმნი მათ. უფრო მეტად ხატვას მივყვები, ისე კი, ხანდახან ალბიაცებებს ვაკეთებ, მასალად ძირითადად გამჭმარ მყენარებებს, ფერად ხელსაწმენდებს, ქსოვილებს ვიყენებ. მაქვს „ნატურის ხეები“ ვარდის ფურცლებისაგან, ფერადი ნატურებისაგან, ჩემი ხელით შექმნილი პატარ-პატარა სხვადასხვა სათამაშოებისგან. ამ ყველაფერს ჩემი ფანტაზიით ვქმნი.

- პირველი სერიოზულ წარმატებას როდის მიადწიე?

- 9 წლის ასაკიდან დადივარ ელენე ახვლედიანის სახელობის ბავშვთა სურათების გალერეაში. აქ მოწყობილ მრავალ გამოფენაში მიმიღია მონაწილეობა. ჩემი პირველი წარმატებებიც სწორედ აქედან დაიწყო. გალერეაში ჩემი მასწავლებლები მხეკალა ბერძენიშვილი და თამარ ჯინგაძე იყვნენ, მოგვიანებით ზაქარია ფალიაშვილის სახელობის



არქიტექტორთა კაემპირის საგა-მოფენო დარბაზში რამდენიმე დღეს მიმდინარეობდა თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობის საკრებულოს ინიციატივით მოწყობილი თოჯინების გამოფენა „ბავშვის მეგობარი“. დღეს გვინდა ამ უჩვეულო ვერნისაჟის ერთ-ერთ მონაწილეზე, თამარ ცანავაზე გვესაუბროთ.

თამარი თბილისის 140-ე საშუალო სკოლის მეცხრეკლასელია. მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებულ შემოქმედ გოგონას არა ერთ გამოფენაში, ხელოვნების ფესტივალსა თუ კონკურსში აქვს მიღებული მონაწილეობა, მის წარმატებებზე კი ის მრავალრიცხოვანი სიგელები, დიპლომები თუ მედლები მეტყველებს, რომლებიც სათუთად ინახება ცანავეების ოჯახში. ჩამოთვლით ამ ჯილდოებს: დიდუბის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის დიპლომი „მოსწავლეები - 2003“, დიპლომი „სახვითი ხელოვნების მესამე საყმაწვილო ფესტივალი „თბილისის ზღვა - 2002“, დიპლომები საერთაშორისო ფესტივალ - კონკურსში მონაწილეობისთვის, რომელიც მოსკოვში ჩატარდა. სახელწოდებით „ბავშვები ხატავენ მოსკოვს“, კაიროში გამართულ ინტერნაციონალურ ფესტი-

მორე სამუსიკო სკოლის სატვის ჯგუფში გაავარტყელ სწავლა და აქაც ქალბატონი მხეკალა მასწავლის.

- ყველაზე მეტად რისი ხატვა განიჭებს შემოქმედებით სიხარულს და რით მუშაობ?

- უფრო პენსაჟების ხატვა მიყვარს, მაგრამ სკოლაში ხშირად ამა თუ იმ თემას გვაძლევენ და მაშინ სხვადასხვა ჟანრში ვხატავ. ძირითადად გუაშით, სამხატვრო ცენტრის პასტელებით ვმუშაობ.

- მე ვიცი, რომ მუსიკალური ნიჭითაც ხარ დაჯილდოებული...


- ორი წლის წინ დაკამათარე დაეთი ანდლეუბის სახელობის მე-14 სამუსიკო სასწავლებელი ფორტეპიანოს განხრით. ახლა კი ხალხურ მუსიკას ვუფლები, ბავშვ-ჩემის, კაპიტონ ცანაჟას მიერ შექმნილ საკრებებზე ვსწავლობ დაკვრას.

- „ახალგაზრდა ლიდერები თბილისისათვის“ საკრებულოში რას საქმიანობ?

- ვატარებ სხვადასხვა სახის გამოფენებს. ახლანან მოგაწყვეთ უღელმარო ბავშვთა ნახატების გამოფენა. თოჯინების გამოფენაზე კი ჩვენი ნაშეუქმრებით წარვდგებით. ჩვენი საკრებულო ჯერ ერთი წლისაა, გვემები მრავალდ გვექვს, მომავალში ბეერი საიტერესო და სასარგებლო საქმის გაკეთებას ვაპირებთ და ვანახობ.

გივი ფორესა.





# ჩვენ შერევის უნა ვსნაჯრობით

თბილისში მ. გრუშევიცის-სახელობის პირველი უკრაინული სკოლის შექმნა საქართველოს და უკრაინის ოდინდელი მეგობრობის კიდევ ერთი გამოვლინება გახდა. ეს სკოლა დღეს დგებულის ქ. №8-ში, 150-ე სკოლის შენობაში მდებარეობს.

პირველ წელიწადს სკოლას ცამეტმა ბავშვმა მიამურა, ამჟამად კი აქ ოთხმოცამდე სხვადასხვა ეროვნების მოსწავლე იღებს საშუალო განათლებას. დაწყებით კლასებში გოგო-ბიჭები ქართული ენის გარდა, ყველა საგანს უკრაინულ ენაზე ეუფლებიან. ქართული ენის სწავლება მიმდინარეობს ქართული სკოლის პროგრამით. სკოლაში პედაგოგების სახით მოწვეულნი არიან საქმის უბადლო ოსტატები, რომლებიც სიყვარულითა და მზრუნველობით უნერგავენ ბავშვებს ქართული და უკრაინული ენების სიყვარულს, ესაუბრებიან ორი სახელმწიფოს მეგობრულ დამოუკიდებულებაზე და ამ ურთიერთობის მნიშვნელობაზე. სკოლის ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვის მის ამჟამინდელ დირექტორს ქალბატონ ანა მატვეევას, რომელსაც მხარში უდგას სასწავლო ნაწილის გამგე ქალბატონი ეკატერინე წულაია.

სახელმძღვანელოებითა და რეკულებით სკოლას სპონსორი უზრუნველყოფს. სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული კლასი, არის საჰადრაკო ჯგუფებიც, რომლებსაც ხელმძღვანელობს პედაგოგი მალხაზ კურტანიძე. სკოლასთან არსებულ თეატრალურ სტუდიაში მრავალი ნიჭიერი მოსწავლეა გაერთიანებული. სტუდიაში ისინი ეუფლებიან უკრაინულ ცეკვებსა და სიმღერებს, დგამენ სპექტაკლებს. თეატრალურ ხელოვნებას ბავშვებს სკოლის პედაგოგი ქალბატონი მარტინიშვილი აწვდის.

სკოლის დირექტორი ქალბატონი ანა მატვეევა მზად არის უკრაინული ენის შესწავლის ყველა მსუ-

რველს დაეხმაროს და უნაგაროდ, სიამოვნებით ამცადინებს დიდსაც და პატარასაც.

სკოლას ხშირად სტუმრობენ კულტურის და პოლიტიკის გამოჩენილი სახეები. დიდ ზრუნვას იჩენს სკოლაზე უკრაინის საელჩო საქართველოში. სკოლის მოსწავლე-მასწავლებლები ძალიან ემადლიერებიან საქართველოში უკრაინის ყოფილ ელჩს ბატონ ს.ე. ვოლოკოვეცკის, რომელიც, ვიდრე ჩვენს ქვეყანაში მუშაობდა, ყურადღებას და მზრუნველობას არ აკლებდა მათ. სკოლას მჭიდრო კავშირი აქვს თბილისის უკრაინულ დიასპორასთან. უკრაინის განათლების სამინისტრო თბილისის უკრაინული სკოლის კურსდამთავრებულებს საშუალებას აძლევს უკრაინის უმაღლესი სასწავლებლების უფასო განყოფილებაზე გააგრძელონ სწავლა.

თუმცა სკოლას მრავალმხრივი ხელშეწყობა აქვს როგორც ადგილობრივი, ისე უკრაინის ხელისუფლებისგან, ერთი პრობლემა მას დღემდე აწუხებს. საქმე ის არის, რომ სკოლას საკუთარი შენობა არ გააჩნია, რაც კოლექტივს სასწავლო-აღმზრდელიობით პროცესის თანამედროვე მეთოდების შესაბამისად წარმართვაში უშლის ხელს და დამატებით სირთულეებს უქმნის. მაგრამ ჩვენს ორ ქვეყანას შორის არსებული კეთილი ურთიერთობა სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს იმის იმედს აძლევს, რომ ეს საკითხიც მალე მოგვარდება და მაშინ შესაძლებელი იქნება ყველა ჩაფიქრებული სიბხლის დაწერვა.

## 6. ზარმუხა

გრუშევიცის სახელობის №1 უკრაინული სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი





# წაბმთგიდგნთ თბილისის მ. გრჟშეფსჯის სასკოლბმის №1 უკრბინჟლი სკოლის მისწაჯლოთა შებმქმქდებმას

## ბატარა ბიჭის ფიქრები

გასაფხულის მშენიერი დილა იყო, ნელ-ნელა ბი-  
ნდებოდა. ქუჩაში 11 წლის ბიჭი ფეხის თრევით მი-  
აბიჯებდა, რაღაც ჩაფიქრებული იყო, გაკფურებდა



ქუჩას და ჩამაჯალ  
მზეს. მარცხნივ  
მიუხვია და და-  
ადგა მთაწმინდის  
გზას, ნელ-ნელა  
ნაბიჯებს უმატა  
და სადღაც 20  
წუთში მთაწმი-  
ნდის პანთეონში  
აღმონდა.

ჯერ ვაჭა-ფშა-  
ველას საფლავთან გაჩერდა, შემდეგ ყველა მწერლის  
საფლავი შემოიარა. გადახედა საკუთარ ქალაქს და  
გული სითბოთი აეგსო: - „რა ლამაზია ჩემი ქალაქი,“  
წარმოთქვა ხმამაღლა, შეავლო თვალი ულამაზეს ბუ-  
ნებას და ფიქრა: „ბედნიერი ვარ, რომ ვარ ქა-  
რთველი, ბედნიერი ვარ, რომ ვარსებობ და გაკფურებ  
ამ ულამაზეს ცას, მესმის ჩიტების ჭიჭიყი და მდი-  
ნარის ჩხრიალი, მაღლობა ღმერთის, რომ შემაგრანო-  
ბინა ჩემი საშობლოს სიყვარული.


**ნიბა კურბანიმ, VI კლასი.**



**ნელი სულთანოვა, VII კლასი**

## ჩემი საქართველო

მიყვარს საქართველოს ბუ-  
ნება, გადაწვანებული მთა-ბარი,  
ულამაზესი სოფლები, ავეჯვე-  
ბული ტყეები და მათი ბინადარი  
ცხოველები. მიყვარს საქართვე-  
ლოში მცხოვრები თბილი ადამი-  
ანები და მეც ამ ადამიანების ნა-  
წილი ვარ. მეც ხომ აქ დავიბადე,  
აქ ავიდგი ენა და პირველი ჩემი  
სიტყვა იყო - „დედა!“ რაც და-  
კავშირებულია დედა ენასთან.



მიყვარს საქართველოს უძველესი ისტორია, ლიტე-  
რატურა, ფერწერა, მუსიკა და ზურთთმძიდვრება. მა-  
ლიან მომწონს, როდესაც მესმის ქართული ხალხური  
მუსიკა.

ჩემი სიცოცხლე ფუჭი იქნება საქართველოს გარეშე.  
**მიხეილ საჩხაბურიანი, VII კლასი.**

## საქართველო - ჩემი სიყვარული

ჩემო ბატარა საქართველო, ჩემო ლამაზო, დღეს  
შენ გიჭირს, შენი კი აღარავის ესმის, მინდა მოგე-  
შველო, მოგეხვო და ვიფიქრა, რომ შენ ჩემს გულში  
ისე მყარად გაიდგი ფეხი, რომ მე შენ მიყვარხარ, მი-  
ყვარს შენი სოფლები, მელოდიური სიმღერები, რო-  
მლის მოსმენასას სული აფერთივანდება ხოლომე. მი-  
ყვარს ძველი თბილისი. თავისი აივნებით, ნარიყალა და  
რიფე. ამწვანებული მთა-ბარი, მიყვარს საყართველო  
მღებარე ჩემი სკოლა, ყველა მასწავლებლები და კეთი-  
ლშობილი დირექტორი, მომიღმარი კლასელები და  
მიელი ქართველი ხალხი.

**ზლბატასლავა შხვი, VIII კლასი.**

## რა არის ცხოვრება?

მე ვფიქრობ, რომ ცხოვრება ადამიანის გამოცდაა.  
მაგალითად, ვეტრანებმა გამოცდა ჩააბარეს და ისე წა-  
ვიდნენ ამ ცხოვრებიდან. მათ შეილებს, შევლიშველებს,  
ტირილის მაგიერად უნდა უხაროდეთ რომ მათი მამები  
და ბაბუები ასე ღირსეულად მოკვდნენ. სიკვდილი გამა-  
რჯეების ნიშანია, იმიტომ რომ, შენ შენი გააკეთე და  
სკვე ცხოვრებას აზრი აღარ აქვს. უაზრო ცხოვრებას  
სიკვდილი სჯობს, რადგან გამარჯვებული ხარ და მეტე  
გამარჯვების მოპოვებას აზრი აღარ აქვს. სიცოცხლე  
კარგი რამაა, ცოტას მაინც გაერთობი, მაგრამ როცა  
გაიზრდები, ბევრი მუშაობა დაგჭირდება, რომ პურის  
ფული იმოკო და როცა მოხუცდები, მაშინ შენი შვი-  
ლები და შევლიშველები მოგივლიან.

**ირაკლი შარაშენიანი, VII კლასი.**



# ჩოგოხი და ჩაკომ ვიზხედებით?

არასდროს დაფიქრებულხარ, რატომ ვიზრდებით? ან რატომ არის, რომ ზოგი უზარმაზარი იზრდება, სხვა კი ტანმორჩილი რჩება? ზრდის საიდუმლო დაფარულია უჯრედებში, ჩვენი სხეულის უცდირეს ნაწილაკებში, რომელთა ზომა მილიმეტრის მეოცედს არ აღემატება. სამაგიეროდ ამ უჯრედებს საოცარი თვისება გააჩნიათ - მათ შეუძლიათ საკუთარი ორეულები შეან. უჯრედების შიგნით ჯერ გენების ყოველი ადამიანის განვითარების საიდუმლო კოდების კობირება ხდება, მერე კი, გაყოფა, ერთი უჯრედიდან ჩნდება ორი, ორიდან - ოთხი, ოთხიდან - რვა... და აი ასე იზრდება ადამიანი.

ვიდრე ბავშვი ჯერ კიდევ დედის მუცელშია, მისი უჯრედების გაყოფა ფანტასტიკური სიჩქარით მიმდინარეობს. სულ თავიდან მომავალი ადამიანი ერთადერთი კვრცხუჯრედისგან შედგება, დედის მუცელში გატარებულ ცხრა თვეში კი 50 სანტიმეტრის სიგრძის ჩვილად გადაიქცევა. ეს მის თავდაპირველ სიდიდესე 10



2 მეტრისა და 72 სანტიმეტრის სიმაღლის ამერიკელი რობერტ უადლოუ ჩვენი პლანეტის ვველაზე მაღალი ადამიანი იყო.

000-ჯერ მეტია. ერთი წუთით წარმოიდგინე, რა სანახაი იქნებოდი, ასეთივე რეკორდული ტემპებით რომ გავგვრძელეებინა ზრდა. თუ ვთქვათ, ახლა შენ 1 მეტრის და 40 სანტიმეტრის სიმაღლის ხარ, მაშინ ერთ წელიწადში შენი სიმაღლე 19 კილომეტრს მიაღწევდა!

საბედნიეროდ, მას შემდეგ, რაც ადამიანი ქვეყანას მოველინება, მისი ზრდის ტემპი საკმაოდ ნელდება. საკუთარი პირველი დაბადების დღისთვის ბავშვები საშუალოდ 80 სანტიმეტრამდე იზრდებიან, მერე კი 11 წლამდე წელიწადში დაახლოებით 7 სანტიმეტრს იმატებენ. მთელ ამ პროცესს ზრდის პორმონი - სომატროპინი არეგულირებს. ამ ნივთიერებას ტვინში განსაკუთრებული ჯირკვალი - პიოფიზი გამოიმუშავებს, სისხლს კი იგი მთელ სხეულში გადააქვს და უჯრედებს ზრდის ბრძანებას აძლევს.

ბრძანებას რომ მიიღებენ, სხეულის სხვადასხვა ნაწილები არათანაბარი სიჩქარით იზრდებიან. მაგალითად, ჩვილს პირველი თვეში თავი ეზრდება. და ეს გამართლებულია. ბავშვი ხომ გაჩენის უმაღ იწყებს ირველივ არსებული საგნების გაცნობას. მერე ბგერათა ნაკადში ადამიანის ხმის გარჩევასაც სწავლობს. ყოველივე ამისთვის კი საჭიროა დიდი ტვინი, ჩვილის ფეხებს ამ ეტაპზე არც ისე დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომაც მათი განვითარება ოდნავ მოგვიანებით იწყება.

თეთრმეტი წლისთვის ბავშვების უმრავლესობა 1 მეტრისა და 50 სანტიმეტრის სიმაღლეს აღწევს. და აი იქ იწყება ზრდის მველაზე ამაღლევებული ეტაპი.



ზრდის პროცესის კონტროლი ამერიიდან სქესობრივ პორმონებს ევალებათ. გოგონები და ბიჭები სწრაფად იმატებენ სიმაღლეში - ბუერი მათგანი წელიწადში 10 სანტიმეტრზე მეტსაც კი იმატებს.


10 წლის ასაკში ბიჭები გოგონებს „წინ უშვებენ“, შეიძლება ამ ასაკში გოგონებმა თითქმის მთელი თავით გაუსწრონ თანატოლ ვაჟებს. გოგონებში „ქალური“ პორმონი არეგულირებს ძვლების სიმაგრეს, რომლებიც მომავალი სხეულის „კარკას“



ვეელაზე პატარა ადამიანი. ინდოელი გულ მუჰამედი, 57 სანტიმეტრის სიმაღლისაა.

ქმნიან, ბიჭებში კი „მაშაკაცური“ პორმონი ტესტოსტერონი ფინიკურ მალას მატებს და ხელს უწყობს კუნთების ზრდას. მაშინ რაღა ხდება, როცა ორგანიზმის პორმონებით მომარაგება ირღვევა? ასეთ შემთხვევაში შეიძლება ადამიანი გოლიათად იქცეს, ისეთად, როგორც 2 მეტრისა და 72 სანტიმეტრის სიმაღლის ამერიკელი რობერტ უადლოუ იყო, ან ინდოელი გულ მუჰამედივით პატარა დარჩეს, რომელიც მხოლოდ 57 სანტიმეტრამდე გაიზარდა. საბედნიეროდ, ექიმებმა უკვე ისწავლეს ზრდის ამგვარი დარღვევების მკურნალობა.

საინტერესოა, ცხოველები როგორღა იზრდებიან? თითქმის ისევე, როგორც ადამიანები, თუმცა ზოგი განსხვავებაც არსებობს. მაგალითად, ჩვენ დაახლოებით 22 წლამდე ვიზრდებით, ბევრ



ჩინელი მენ ფულანი 2 მ. და 48 არის, რომ ამის შემდეგ მათი სიმაღლის გაიზარდა და მხოლოდ 2 მეტრის სიმაღლისადაა დარჩენილი. მათი სიმაღლის გაიზარდა და მხოლოდ 2 მეტრის სიმაღლისადაა დარჩენილი.

ერი თევზი და წყალხმელები ცხოველი მთელი სიცოცხლის მანძილზე იზრდება. კიბოები, მაგალითად, „ნახტომებით“ იზრდებიან, ამისათვის ისინი დროდადრო ჯავშნისაგან თავისუფლდებიან და იზრდებიან, ვიდრე ელასტიური გარსი ხელახლა არ გაუმავრდებათ. ისეთი ცხოველებიც არსებობენ, რომლებსაც სხეულის დაკარგული ნაწილები ხელახლა ეზრდებათ. მაგალითად, სალამანდრებს სულაც არ აწუხებთ თათების მოწვევება, მათ ხომ სულ მალე ასეთივე თათები ეზრდებათ. მტკნარი წყლის პოლიპებს კი არც მაშინ გაუფუჭდებათ გუნება-განწყობილება, თუ მათ ხორცის საკვებ მანქანაში გაეატარებთ, საქმე ის ყოფილი ცხოველებით ცხოვრობს.

## ზხრის სირქაჩე

### ბიჭება

ასაკი	0	2	4	6	8	10	12	14	16	18
სმ-ში	52	88	106	118	130	142	152	166	175	180

### გოგონები

ასაკი	0	2	4	6	8	10	12	14	16	18
სმ-ში	52	86	104	118	130	144	154	164	167	168

8 წლამდე გოგონები და ბიჭები ერთნაირად იზრდებიან. მერე გოგონები უსწრებენ, სამაგიეროდ 14 წლის შემდეგ ისინი ნაკლებად იმატებენ სიმაღლეში, ბიჭები კი აქტიურად იზრდებიან 18 წლამდე.

# მსოფლიო კიდით კიდემდე

## გარემანი

### სკოლა ერთადერთი პოზიტივისთვის

ჩრდილოეთის ზღვის ქუჩების კუნძულის სახალხოვეს მდებარე ყრილი დამბებით დაკულ ამ ციციკნა კუნძულზე სულ 19 ადამიანი ცხოვრობს, მათ შორის ერთადერთი სასკოლო ასაკის ყმაწვილია - სვენ გლიენე. მიუხედავად ამისა, ადგილობრივი სკოლა ჩვეულებრივად მუშაობს, სვენიც რეგულარულად დადის სკოლაში და მასწავლებელიც პენინგ შლიუტერიც სრული პასუხისმგებლობით ეკადება თავის მოვალეობას.

სკოლის დამთავრების შემდეგ სვენ „დიდ მიწაზე“ გამეზგაერება



ათასი პატარა ფიგურა გაყიდა. აშკარა გახდა, რომ საქმეს მარტო ევდარ აუცილოდა, მაშინ ცნობილი მილიონერის, რინარდ ბრენსონის რჩევით, ლუიზამ და დედამისმა ფირმა გახსნეს. დღეს ლუიზა ბანდის ფირმაში დამზადებული სათამაშოები ლინდონის ველაზე ცნობილი მაღაზიების თაროებს ამშვენებს.

## რუსთი

### ტყუპების სკოლა

ქალაქ კიროვის №47 სკოლაში 24 ტყუპი ისწავლობს. ამ მხრივ ეს სასწავლებელი ერთადერთია არა მხოლოდ ამ ქალაქში, არამედ მთელ რუსეთში. თუმცა გარეგნულად ტყუპები გაჭირვებული ვაშლივით ჰგვანან ერთმანეთს, ხასიათით, ჩვევებით და ნიჭით ძალიან განსხვავდებიან. მასწავლებლებმაც კარგა ხანია ისწავლეს მათი ჩარევა, ისე რომ, „ორეულების“ ჩვეული ოინები აქ არაეის გახდის.

ტყუპები მარტო ახალი მასწავლებლების მოტყუებას ახერხებენ.


## აუფ

### კომაიუტარული თაგავი

#### ავადმყოფებს მხარაში

ცხრა წლის ბენ დასკინმა, რომელსაც რამდენიმე წლის წინ ექიმებმა ლეიკემიის - სისხლის კბოს დადგინონი დაუსვეს, არა მარტო უდიდესი მოთმინებით გაიარა საექურნალო თერაპიის ხანგრძლივი

და მძიმე კურსი, არამედ ისეთი კომპიუტერული თამაშიც კი მოიგონა, რომელიც ამ დაავადებასთან ბრძოლის პროცესს ასახავს. ცხადია, ბიჭი თავად ასეთ რთულ პროგრამას ვერ დაწერდა, ის უფრო სცენარისტის როლში გამოიღობა, ტექნიკური სამუშაო კი პროფესორალმა პროგრამისტმა ერეკ ჯონსონმა შესასრულა. თუმცა თამაშის ძირითადი ვინუალური სახეები სწორედ ბენმა შექმნა. თამაშის განმავლობაში გმირი ებრძვის კბოს, რომელიც ცეცხლისმფრქვეველი ურჩხულის სახით არის წარმოდგენილი, მოთამაშემ გზადაგზა უნდა აგროვოს თავისებური „ფურცლები“, რომლებიც ლეიკემიის სიმპტომებისაგან: გულსრევისაგან, თბის ცვენისა და წყლულებისგან იცავს. ასეა, როცა ბენის თამაში მზადაა, მისმა დაავადებამ კი უკან დაიხია, საქველმოქმედო ფონდმა, რომელიც ბიჭს თამაშის შექმნაში ეხმარებოდა, ინტერნეტში შეიტანა ფი. ეს თამაში პირველ რიგში ამოთავის არის განკუთვნილი, ვინც ბენის



და უმაღლეს სასწავლებელში ჩაბარებას გამოცდებს, ინსტიტუტის შემდეგ კი აუცილებლად დაბრუნდება მშობლიურ კუნძულზე. იმიტომ რომ, მასზე უკეთესი ადგილი მთელს დედამიწის ზურგზე არ ეგულებია.

## დიდი ბრინბანეთი

### 15 წლის ბიზნესმენი

12 წლის ლუიზა ბანდს დაბადების დღეზე თიხა აჩუქეს, ვაზარებულმა გოგონამ თინისაგან სათამაშოების გამოქორწვა დაიწყო, მათი უმრავლესობა მის მეგობრებსა და შინაურ ცხოველებს ჰგავდა. ლუიზას ნახელავმა დიდი მოწონება დაამსახურა, გამოჩნდნენ ამ ორგანიზაციის სათამაშოების მიყიდველებიც, სულ მალე კი ლუიზამ 13



მსგავსად მძიმე ხენით არის შეპყრობილი. თამაშმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია: მოკლე დროში ამ საიტს 60 ათასი ადამიანი ეწვია. ექიმებს მაინაით, რომ ეს თამაში მარტო გასართობი კი არ არის, არამედ ფსიქოლოგიური დახმარებაც. იგი პაციენტს საკუთარ შოთან ბრძოლაში ეხმარება და კარგ განწყობილებას უქმნის მას.

# სეთიუნეჯულანს ხუიჩლი

## იხმა მადაციძე

### თეთრი ზღი და ფეხები ყინულოვანი ოქვენა

#### ზ ლ ა მ ა რ ი



თეთრი ბელი თავის მშობლებთან, თეთრ დათვებთან ერთად დღემიწის ყველაზე თეთრ კუნძულზე ცხოვრობდა. წელიწადის ნებისმიერ დროს ირგვლივ თოვლი იდო, ყინვა უჭერდა და ყველაფერს თეთრად გაუდიოდა ქათქათი. საერთოდ, თეთრ ბელს არსოდეს ენახა, თუ ცისფერ ცას და ხანდახან გამოჩენილი მზის ოქროსფერ სხივს არ ჩავთვლით, რომელზეც თოვლი ისე ბრწყინავდა, რომ თვალის გასწორება დათვებსაც კი უჭირდათ. კიდევ შუა ფერსაც იცნობდა ბელი, ისიც პინგუინების წყალობით. მისი წინაპრები ისე იბადებოდნენ და კვებობდნენ, რომ არ იცოდნენ, არსებობდა თუ არა ამქვეყნად ისეთი ფერადი და ლამაზი სამყარო, რომელშიც, მაგალითად, ჩვენ ვცხოვრობთ.

წესით, არც ჩვენი ბელი უნდა ყოფილიყო გამონაკლისი, მაგრამ ერთი უცნაური ამბის შემდეგ წარმოდგენა შეეცვალა - მან სიზმარი ნახა, საოცარი, ლამაზი, ფერადი სიზმარი, რომელშიც ხეები მწვანე იყო, ყვავილები წითელ-ყვითელი, ზღვა - ლურჯი და ყველაფერი ერთად - ისეთი ლამაზი, ისეთი ლამაზი, რომ ბელს მოსვენება დაეკარგა. გადავიძებისთანავე მოუყვა მშობლებს თავისი სიზმრის შესახებ და სთხოვა, იმ ქვეყანაში წამოეყანეთ, სადაც ასეთი ფერებიყო. შესწუხდნენ დედა და მამა დათვები - ჩვენი სახლი აქ არის და ვერსად ვერ წავალით, და საერთოდ, წარმოდგენა არ გვაქვს, არის თუ არა


სადმე ასეთი ქვეყანაო - აიჩიქეს მათ მხრები. დაღონდა ბელი, ძალიან დაღონდა, ატირდა.

თვალებიდან ცრემლები ჩამოუვორდა, რომელიც მაშინვე ყინულის პატარა ნამცეცხებად იქცა. უცებ სად იყო და სად არა, თოვლი მოფრინდა.

- რამ დაგაღონა, რად ტირი? - შეეკითხა ბელს.
- ფერად ქვეყანაში მინდა წასვლა, - შესჩივლა ბელმა.
- შენ საიდან იცი, რომ ასეთი ქვეყანა არსებობს? - გაოცდა თოვლი.
- ეციც, სიზმარში ენახე. მეც მინდა ლამაზი ფერების ნახვა, - მოუმატა ტირილს ბელმა.
- თოვლიამ ამოიოხრა და სადღაც გაფრინდა. გავიდა ერთი დღე, ორი, სამი, ოთხი და... თოვლი ისევ დაბრუნდა. ნისკარტით უცნაური კოლოფი მოიტანა.
- ახლა შეგიძლია შენ თვითონ მოხატო შენი კუნძული.

გაიხარა ბელმა. აიღო ფუნჯი და თოვლზე ყვავილები მიახატა. მერე მწვანე საღებავით ბალახიც დახატა, ბუნჩქებიც, ლურჯით - პატარა რუ. მალე მთელი კუნძული გააფერავდა. ირგვლივ ისეთი სილამაზე იყო, დათვები გაოცებას ვერ ფარავდნენ. გამხიარულდა, ატყუელდა შეუთეთრი კუნძული. აქამდე თუ მოწყენილობა სუყვედა, ახლა ყველა გამოცოცხლდა, ყველაზე მეტად ბელს უხაროდა. მოსწონდა გარემო და თავს ისე გრძობდა, თითქოს თავის ლამაზ სიზმარში დაბრუნდაო.

ამის შემდეგ აღარ დაუწუწუნია, არც სამშობლოს დატოვებაზე დაუბრავს კრინტი. თოვლიას დიდი მადლობა გადაუხადა და აღარასდროს უტირია. ამის შემდეგ მხოლოდ კარგ განწყობაზე იღვიძებდა, ვინაიდან იცოდა, რომ თვალს არ მოსჭრიდა ერთფეროვანი თეთრი სიკაშკაშე.



# იცოდით, რომ...

## წიბი ზოგჯერ ყი — უყანავს...

საათი დროის განმსაზღვრელი ხელსაწყო, კაცობრიობის ყველაზე გენიალურ გამოგონებად არის მიჩნეული. მას შემდეგ, რაც ჩვენმა პირველმა წინაპარმა გააცნობიერა თავისი ადვილი დროში, დაიწყო ჭკუშპირიტი ვერა „Homo Sapiens“. იგი თავისი მშვენიერ გამოგონებაზე უბიძგებდა ისტორიას, ვინ იცის, რა საკუთრებად და ხანგრძლივი ისტორია იმალება მათ დაუსრულებელ სრბოლაში?..

### უპაბული საათები

საათების ისტორია მრავალ ათასწლეულს ითვლის. ისინი ჩვენს წელთაღრიცხვამდე გაჩნდა. პირველად მზის საათი გამოიგონეს, რომელიც უნიკალურად მარტივი იყო. მისწამი არჭობდნენ ხის ჯოხის, ირგვლივ კი დროის შტალას უხსნავდნენ. დროს ჩრდილის გადაადგილებას მგაღვიტი ივებდნენ. მოგვიანებით ასეთ საათებს ხისგან ან ქვისგან აშხადებდნენ და შენობებზე ათავსებდნენ. ცნობილია, რომ ყველაზე პირველი დროის მარეკნებელი საბერძნეთში გაჩნდა. ჩუ. წელთაღრიცხვამდე III ათასწლეულში მას „ენომი“ ერქვა.

შემდგომში ეს სახელი გახდა საუკუნეული უფრო რთული ტერმინის „ქრონომეტრის“ წარმოშობის, რომელიც დროს ზომავდა. მოგვიანებით შეიქმნა მზის საათების ისეთი ტიპი, რომლის გადაადგილებაც შეუძლებელია. ისინი ხის ძვირფასი ჯიშებისგან, სპილოს ძვლის ან ბრინჯაოსგან მზადდებოდა. საიწმინდისგან დამზადებული, გოქის ფორმის ასეთი საათი ძველი რომის ერთ-ერთი ქალაქის ვაიზობების დროს აღმოაჩინეს. ამ პაწინადა საათზე ისრის მაგნიტობა გოქის კული ასრულებდა. გოქის „ენომის“ ძაფზე ან ძქქსზე კიდვებდნენ. ზოგჯერ კი მას ძვირფასი ხისგან გამოთლილი ხელჯოხზე ამაგრებდნენ.

მზის საათს ნაკლიც ჰქონდა. მისი გამოყენება დამე შეუძლებელი იყო. შემდგომი პრერკუსული ნაბიჯი წყლის საათი იყო. სითხე წვეო-წყეთად გადადიოდა ერთი მილიად მეორეში, დროს იმის მიხედვით საზღვრავდნენ, თუ რამდენი წყალი გადმოვიდა. ეგვიპტელთა შემოხვევაში ამას კონუსისებური მილის ფორმა ჰქონდა. რომლის კიდვებსაც დანაყოფებით აღნიშნავდნენ.

მრავალი ასწლეულის განმავლობაში წყლის საათები ერთგულად ემსახურებოდა ადამიანს. თუმცა მათი სახელი „კლასიკურ“ ცოცხა დამცირებულად ფურცა; ეს სიტყვა ბერძნულად „წყლის ქურდი“ ნიშნავს.

სხვათაშორის, პირველი მალეძარა საათიც წყლის იყო. ფიქრობენ, რომ იგი ძველბერძენმა ფილოსოფოსმა პლატონმა გამოგონა, რათა თავისი მოსწავლეები შეცდენილობაზე მოეხსო. ხელსაწყო ორი მილისგან შედგებოდა, ზედა მილში წყალი ისხმებოდა, რომლიდანაც ის მცირე წვეთების სახით ისხმებოდა ქვედა მილში და იქიდან პაქრს დევნიდა. პაქრი მილის საშუალებით მიედინებოდა ფლიტისაკენ. ფლიტა კი იმდენად მძალიდ ხმას ვაძისცემდა, რომ მისიარეს გამოედიქება შეეძლო.

შემინახული თქვამება, რომ ფრანკთა მფუქმ მარლ დიდმა 807 წელს დიპლომირებულ ბაღდადის ხალიფა გარუნ ბარმუსს სარწმუნად ბრძნობის მოიქცეული წყლის საათი მითარქო, როდესაც საათი ისრანი 12-ს უახლოვლებოდა. ხარის ისმობდა — ბრძნობის ფრთავებს კი ბერძნულად ეცხმობდა. აქვე

წინდებოდა რანდობა ფიქრებრა, რომლებიც წრეს აყვებდნენ და მუხივე უჩინარებოდნენ. ხალიფას ძალიან მოსწონებია იმეთათი საწუქარი. ამასობაში მოდამი ქეთის და ცეცხლის საათები შემოვიდა.


არაუთი იცის თუ ვინ არის პირველი მექანიკური საათის გამოგონებელი, ზოგიერთის აზრით, ეს მექანიზმი IX საუკუნის დასაწყისში იტალიელმა პაციფიფუსმა გამოიგონა. სხვები კი საათის გამოგონებლად თვლიან ბერ პეტრესს, რომელიც მედიგოში რომის პაპი გახდა. 996 წელს პეტრესმა ქალაქ მადგერბურგისათვის ციხე-ხმაგრის საათი ააწყო. დროის საზომი უამრავი უნიკალური მექანიზმი თაგმოიერა ჩინეთში, პეტინის საათების მუხუქეში, რომელიც სათამაშოების კოლექციის უფრო ჰგავს.

სული რამდენიმე ხნის წინ ჩინელებმა მილიონ პონკონგურ დოლარზე მეტი გადახადეს წვეილი მაიმუნისა და ბრინჯაოს ხარის ფეგურაში, რომლებიც ორანი წლის წინათ უსარმაზარი წყლის საათს ამეყვებდნენ. უცხოელმა ელტრებმა ცოდნები მაგურული მმართველების ინტერესი საათებისადმი და იმპერატორის სასახლეში საწუქარის სახით სხვადასხვა სიროლისა და მრავალფუნქციური კონსტრუქციის საათები მიქინდათ. დღეს ისინიც პეტინის მუხუქეშია გამოფენილი. იმასათვის, რომ ჩინელი ბოვდისანებისათვის ესამოგონებინათ, ხელონსები ციფერბრების ირგვლივ ოქროსაგან ჩამოსხმულ მოსსარ ჩინე მგომრებს, საილოებს და ეეფხვეს ათავსებდნენ. მე-18 საუკუნეში ნაკრძალი ქალაქის ხელისნებათა თითონი დაიწვეს შეეყვეთის გემოვნების მიხედვით შეეყვითების მიღება საათებზე, თუმცა მათთვის მექანიზმი ეკლავაც საზღვარგარეთიდან შემოიქინდათ, მირითად — ინგლისიდან.

არაჩვეულებრივი ჩინური ნამუშევარია იმპერატორ ცინ ლენისთვის (მე-18ს) მირთმეული ძვირფასი ხის მასალისგან დამზადებული და უნატიფობი ჩუქურთმებით შემკული საათი — სასახლე. სასახლეში მირინად დაოსების ფეგურები, ნაკების და წერობის სიმბოლოები, რომლებიც სიცოცხლის ხანგრძლივობას აღნიშნავს. ორავრც კი ქანქარას მომართავდნენ. დაოსები სტუმრების წინ ქედს იხრადიდნენ და სინთ უკვადვების ატებს აწვიდნენ. მუხუქეში ერთ-ერთ დარბაზში დღემო ორავრც მოქავადი მთქველები უძველესი საათი, სადაც რვა წმინდანი ზღვის გადალახების ცეკვას ასრულებს.

მიუღ მოსოლინომ ცნობილია პრადის რატუმის უძველესი საათი, ეს არის ქალაქის სიმბოლო, მოსოლითი კულტურის ძეგლი. რომელსაც თუნქყო იცავს. პრადის საათი უამრავი ისტორიული სანახაობის მომსწრეა შუა საუკუნეების დღე მედ.

პრადის კურანტი დამზადებულია 1402 წელს ქალაქ კოლანი (ჩეხეთი) მცხოვრებელ მესაათის მიერ. რატუმის კომქე სადაც მთავრებულია კურანტები, მირთავობით იღება ორი ფუნტარა და ჩნდება ექვსი ბიბლიური მოციქული. აღეგობრული ფეგურები მრავალმნიშვნელოვანად უჩვენებენ გამოვლებს. თუ ორავრც გადავინებთა ქვემა შუქის მუხუქეზე „წყლის“ კოლბაში, ეს არის დროის ხისხუქის სიმბოლო. ეს საათი ხუთ საუკუნეზე მეტია, რაც უძველეს ქალაქს გადმოიქურებს.



**მავის საათები**

**მეორეული საბაზისის საათების შესახებ**

გვეყვავის საათები უფრო მეტად დინამურულ სილამაშეს ემსახურებიან, ვიდრე დროის სისუსტის განსაზღვრას. ნამდვილი გვეყვავის საათის მუშაობის მექანიზმი დამოუკიდებელია თვით ბუნებასა და გარემოს პირობებზე. არაფერ იცის, თუ ვინ შეამჩნია ცროდის ხსნის და ხურავს ეს თუ ის მცენარე გვეყვავის. ცრობილია მხოლოდ ის, რომ ძველ საბერძნეთსა და რომში უკვე სარეკლამოდინენ გვეყვავის საათები. ამ ქვეყნებში ცალკეულ ნაკვეთებზე თესავდნენ განსაზღვრულ გვეყვავის დღე და მათი საშუალებით იგებდნენ დროს. ასეთ საათებს წინადა ადგილებზე ათავსებდნენ და თამააღმძობიცხვედს უღებდნენ. (გმათაღმძობიცხვედს ითვლებოდა ორსახოვან ღმერთად - ერთს შთავარის სახე ჰქონდა, მეორეს - შშის). აქვე იყო შშისა და მთავარის საათები.

საერთოდ, გვეყვავის საათით დროის, მითუმეტეს, წუთების გამოთვლა მზელა. ამასთან ასეთი საათები, თუკი ისინი ნამდვილია, დიდი სიღამამით არ გამოირჩევა, ითვლება, რომ გვეყვავი ზუსტად „საათები“ მხოლოდ უცნობი და მუქმინველი გვეყვავიებია, რომლებსაც ცოტა ვინმე თუ იცნობს, ამდნად ნამდვილი გვეყვავის საათის მოწოდება საყმობო დიდ სირთულეს წარმოადგენს.

**მავის საათები**

თუ შუა საუკუნეებში რაინდის დიდგვაროვნობისა და ტიტულაციის შესახებ ინფორმაციას მისი გერბი შეიცავდა, დღეს დაახლოებით იგივე ფუნქცია საათმა იკისრა.

